სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 76

2022 წლის 3 მაისი

ქ. თბილისი

კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიის დამტკიცების შესახებ

„კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 172/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2022 წლის საგრანტო კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 3 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ე" ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N442529, 03.05.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სია ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია
1	CS-I-22-321	სამხრეთ კავკასია ზედა პლეისტოცენში: კულტურული და ეკოლოგიური კონტექსტი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	
2	CS-II-22-223	საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2022 წლის 13 მაისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა.
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 3 მაისის №76 ბრძანებით

2022 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების რანჟირებული სიები

პირველი ლოტი - კავკასიის რეგიონის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევითი პროექტები

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ჯამური შეფასება
1	CS-I-22-321	სამხრეთ კავკასია ზედა პლეისტოცენში: კულტურული და ეკოლოგიური კონტექსტი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	15
2	CS-I-22-104	საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე გამოყოფილი ბაზიდიალური სოკოების სახეობების მრავალფეროვნება, გავრცელება და ბიოტექნოლოგიური მნიშვნელობა	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	14
3	CS-I-22-106	წნევითი რეტუშით დამუშავებული ზურგათლილი ტრაპეციების გავრცელება კავკასიაში ატლანტიკუმის ხანაში	აჭარის მუზეუმი	13
4	CS-I-22-108	მრავალეროვანი და მრავალფეროვანი კავკასია: ტრაუგოთ ვალდფოგელის მოგზაურობის ჩანაწერები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
5	CS-I-22-257	კავკასიის ისტორიული ნაშრომების და წყაროების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ბაზა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
6	CS-I-22-138	ქრისტიანობის გავრცელება დაღესტნის სახელმწიფოებსა და ვაინახებში (ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები) - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12

მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებისთვის

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ჯამური შეფასება
1	CS-II-22-223	საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**45**
2	CS-II-22-119	ცვლილებები და უწყვეტობა ნეოლით-ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში. ოთარ ჯაფარიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	**43**